პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 10.02.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი – დამოუკიდებელი კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ირაკლი ბაიდაშვილი – საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის ვიცე- პრეზიდენტი და ხაზინადარი, GMT Group-ის ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოს სხდომის მდივანი (შემდგომში - მდივანი);
მაია ჩიხლაძე – ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს ,,საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია – სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ირაკლი პეტრიაშვილი – ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი – პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის ვიზიტების უზრუნველყოფის სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის სპეციალისტი;
ნინო ხითარიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარების კოორდინატორი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ გულედანი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადმინისტრირების და საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის წარმომადგენლები:
რუსუდან ჩიტალაძე - დირექტორის მოადგილე;
ეკა კანდელაკი-ყანჩაველი - ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი;

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის წარმომადგენლები:
ნინო ბერძენიშვილი - დირექტორი;
ზვიად არძენაძე - დირექტორის მოადგილე;
ანა ტოროტაძე - თანამშრომელი

შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის წარმომადგენელი:
გოდერძი ფრანგიშვილი - დირექტორი;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნატო ალავიძე;
ნანა შარაბიძე;
თეა ლილუაშვილი;
ეკატერინე გიგაშვილი;
თამარ ვალიშვილი;
ნანა ბარნაბიშვილი;
მაია თოიძე;
ქეთევან ჯანელიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:45 საათზე.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
   <u>წარმდგენი:</u> ნატო ალავიძე, ნანა შარაბიძე, თეა ლილუაშვილი, ეკატერინე გიგაშვილი;
2. შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
   <u>წარმდგენი:</u> თამარ ვალიშვილი, ნანა ბარნაბიშვილი, მაია თოიძე;
3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
   <u>წარმდგენი:</u> თამარ ვალიშვილი, ქეთევან ჯანელიძე.

ცენტრის წარმომადგენლების შუამდგომლობის საფუძველზე საბჭომ კენჭისყრით შეცვალა სხდომის დღის წესრიგი. განსახილველი საკითხების თანმიმდევრობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
   <u>წარმდგენი:</u> თამარ ვალიშვილი, ქეთევან ჯანელიძე;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
   <u>წარმდგენი:</u> ნატო ალავიძე, ნანა შარაბიძე, თეა ლილუაშვილი, ეკატერინე გიგაშვილი;
3. შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
   <u>წარმდგენი:</u> თამარ ვალიშვილი, ნანა ბარნაბიშვილი, მაია თოიძე.

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - თამარ ვალიშვილმა და ქეთევან ჯანელიძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იმყოფებოდნენ ავტორიზაციის ვიზიტით და შესაბამისად მათ მიერ შემოწმდა სამივე სტანდარტი.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

კოლეჯი წარმოადგენს საზოგადოებრივ კოლეჯს და ახორციელებს მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. კოლეჯი ახორციელებს ცხრა საგანმანათლებლო პროგრამას სამედიცინო განხრით. ეს პროგრამებია:

ექთნის თანაშემწე - მესამე საფეხური

მასაჟისტი - მესამე საფეხური

ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი - მესამე საფეხური

კბილის ტექნიკოსი - მესამე საფეხური

კბილის ტექნიკოსი - მეოთხე საფეხური

კბილის ტექნიკოსი- მეხუთე საფეხური

ფარმაცევტის თანაშემწე - მეხუთე საფეხური

პრაქტიკოსი ექთანი - მეხუთე საფეხური

პრაქტიკოსი ექთანი - მეხუთე საფეხური (მოდულური პროგრამა)

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ აქვე შენიშნა რომ პროგრამა - ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი ეკუთვნის არა სამედიცინო, არამედ ინჟინერიის მიმართულებას. ექსპერტი დაეთანხმა აღნიშნულს.

პროგრამები დამტკიცებულია განსაზღვრული წესით, უფლებამოსილი პირის მიერ, დირექტორის ბრძანებით. ყოველი პროგრამა შეიცავს ყველა სავალდებულო კომპონენტს, რომელიც უნდა ჰქონდეს პროგრამას, მათ შორის მოდულური პროგრამის შემთხვევაში. არცერთი სტანდარტის შემთხვევაში არ აღინიშნა ხარვეზი.

პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით იყო რამდენიმე შენიშვნა, რომელთაგან რამდენიმე გამოსწორდა ვიზიტის მსვლელობის დროს. დარჩენილი შენიშვნები, რომლებიც დაფიქსირდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, გაითვალისწინა კოლეჯმა და შესწორებული დოკუმენტაცია წარმოადგინა ვიზიტის შემდეგ. ექსპერტები გაეცნენ აღნიშნულ

დოკუმენტაციას და დააფიქსირეს, რომ მათი შენიშვნები სრულადაა გათვალისწინებული. თუმცა, აღნიშნეს რომ ეს შენიშვნები არ აისახებოდა კონკრეტულად სტანდარტის შესრულება /არ შესრულებაზე.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით არანაირი შენიშვნა არ დაფიქსირებულა ექსპერტების მხრიდან. ზედმიწევნით დაცული იყო ყველაფერი ამ მხრივ- განაცხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ქეთევან ჯანელიძემ. დასკვნაში მათ მიერ აღწერილი იყო სრული სია აღჭურვილობებისა, რომელიც საჭიროა მოდულების განსახორციელებლად და პროგრამების (საგნობრივი და მოდულური) განსახორციელებლად. გარემო ადაპტირებულია, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა სართულებზე შეუზღუდავად გადაადგილებას, სველი წერტილები ადაპტირებულია, სახანძრო უსაფრთხოება დაცულია და აკმაყოფილებს სტანდარტს. საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ ექსპერტებს სთხოვა განმარტება ფართის იჯარის დოკუმენტის მოქმედების ვადასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, ქეთევან ჯანელიძემ განმარტა, რომ იჯარის ხელშეკრულება დადებულია 5 წლის ვადით, დირექტორის განმარტებით მათ აქვთ ურთიერთშეთანხმების დოკუმენტი, რომლის მიხედვით იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ იჯარა ავტომატურად გაგრძელდება. ამ ეტაპზე ვადის გახანგრძლივება ვერ მოხერხდებოდა, რადგან მეიჯარემ უნდა გამოაცხადოს ტენდერი. ანუ ამ ეტაპზე იჯარის ხელშეკრულება მოქმედია და არსებობს პარტნიორთა ურთიერთშეთანხმების დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მათ შორის თანამშრომლობა წინასწარ დაგეგმილია.
საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ იკითხა რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებულ ტენდერში ვერ გაიმარჯვებს კოლეჯი. ექსპერტმა განმარტა რომ 2014 წელს აქვს საიჯარო ხელშეკრულება დადებული 5 წლის ვადით. არაა სავალდებულო ვიზიტის დროს მოქმედი საიჯარო ხელშეკრულების ვადა ფარავდეს ავტორიზაციის ვადას. დაწესებულებისთვის რთულია მოქმედი რეალური ხელშეკრულების პირობებში დადოს ახალი ხელშეკრულება, მათი თქმით საფრთხე ვერ დაინახეს, ხელშეკრულება რეგისტრირებულია შესაბამისი წესით.
საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ შენიშნა, ის ფაქტი, რომ საიჯარო ხელშეკრულება 2019 წლამდეა, არ არღვევს სტანდარტს და ყველა პროგრამა უზრუნველყოფილია იჯარის ამ ვადით, რაზეც ექსპერტები დაეთანხმნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამაც აღნიშნა, რომ თუ დაწესებულება შეიცვლის აღნიშნულ ფართს მას აქვს ვალდებულება განაცხადოს ცენტრში აღნიშნული ცვლილების შესახებ.
ექსპერტმა, ქეთევან ჯანელიძემ აღნიშნა, რომ რიცხობრივი სიდიდის გამო მათ დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები შემდეგი პრინციპით: თითო პროგრამის ერთი/ორი საკვანძო მნიშვნელობის მქონე პრაქტიკის ობიექტი. მათი განმარტებით თვითონ კლინიკებში (პრაქტიკის ობიექტებში) მოწყობილია A გარემო, მცირე ბიბლიოთეკები, რომლებიც პროგრამის ფარგლებში საჭირო და დამატებითი ლიტერატურით იყო აღჭურვილი.
საბჭოს წევრი ირაკლი პეტრიაშვილი დაინტერესდა კოლეჯის სახელწოდებით - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელი. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დასახელება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, დაწესებულების ძველი დასახელების შესაბამისად. საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ დაადასტურა, რომ თბილისში არსებობდა სამი სამედიცინო საშუალო პროფესიული

სასწავლებელი (პირველი, მეორე და მესამე). თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელმა დაიტოვა სახელი უცვლელად.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის ადგილის ზღვრული ოდენობის განსაზღვრას ითხოვდა დაწესებულება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით არსებული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით და მოთხოვნიდან გამომდინარე მათ სურდათ 500 სტუდენტის ადგილი. აქედან 40 სტუდენტის რაოდენობა განისაზღვრა პრაქტიკოსი ექთნის მოდულურ პროგრამაზე. ექსპერტებმა დაადასტურეს რომ ფართი (1000 კვ. მ) იძლევა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღების საშუალებას და არსებობს შესაბამისი A,B და C გარემო.
საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ იკითხა, რამდენად ესწრებოდა საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამების დასრულება 2019 წლამდე, რასთან დაკავშირებითაც პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, კახაბერ ერაძემ განმარტა: საგანმანათლებლო დაწესებულებები იმატებენ საგნობრივ პროგრამებს, რადგან მათ უკვე ჰყავთ სტუდენტები ჩარიცხული აღნიშნულ პროგრამაზე და სურთ დაასრულებინონ იმავე პროგრამებით სწავლა. ამ დროისთვის ცენტრის მიერ ინიცირებულია საგნობრივი პროგრამებიდან მოდულურ პროგრამებზე კრედიტების ტრანსფერის წესი და როგორც კი ეს წესი დამტკიცდება, სასწავლებლებს მიეცემათ შესაძლებლობა სტუდენტები გადაიყვანონ მოდულურ პროგრამებზე. აგრეთვე განიხილება შესაძლებლობა, რომ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მილევად რეჟიმში დაასრულონ პროგრამები. ჯერ ამ საკითხზე ცალსახა გადაწყვეტილება მიღებული არაა. ექსპერტმა აქვე შენიშნა, რომ სამედიცინო მიმართულების პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის ბოლო ეტაპზე სწავლება მიმდინარეობს კლინიკურ ბაზებზე და ამიტომ ნაკლებად დადგება ზემოხსენებული პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202056764) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

2. შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - თამარ ვალიშვილმა, ნანა ბარნაბიშვილმა და მაია თოიძემ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იმყოფებოდნენ ავტორიზაციის ვიზიტით და მათ მიერ შემოწმდა სამივე სტანდარტი.
საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:
კოლეჯს სურდა შემდეგი ოთხი პროგრამის განხორციელება:
მიღება-განთავსების სპეციალისტი - მესამე საფეხური (მოდულური პროგრამა)
ბანკის მოლარე-ოპერატორი - მესამე საფეხური (მოდულური პროგრამა)
სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი - მეოთხე საფეხური (მოდულური პროგრამა)
ბუღალტერი - მეხუთე საფეხური (მოდულური პროგრამა).
ექსპერტთა განმარტებით, დაწვრილებით შემოწმდა მოდულური პროგრამები და შედეგები აისახა ექსპერტთა დასკვნაში. აქვე აღნიშნეს რომ, მათ მიერ დეტალურად იქნა განხილული ვიზიტის შემდეგ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაც. ყველა მიცემული შენიშვნა, რომელიც ასახული იყო ექსპერტთა დასკვნაში, გათვალისწინებულია. აქვე აღინიშნა, რომ შენიშვნები ძირითადად ეხებოდა პროგრამების დაშვების წინაპირობებს. მოდულური პროგრამები სტანდარტულად ყველა კომპონენტს მოიცავს, მათ შორის ინფორმაციას ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. ექსპერტებმა შენიშნეს, რომ მეოთხე საფეხურის სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მოდულური პროგრამის დასახელებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი - უნდა იყოს სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი საბჭომ დაწესებულებას მიუთითა, რომ პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაში მოეყვანა შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებასთან.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:
იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე დაწესებულება ფლობს 404 კვ. მ. ფართს, ქალაქ ბათუმში. ექსპერტების განმარტებით, დასკვნაში დაწვრილებით აღწერეს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი. ექსპერტის მოსაზრებით, პროგრამების A, B და C გარემო სტანდარტს აკმაყოფილებს. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით : პირადი საქმეები, საქმის წარმოება და ა. შ. შემოწმდა პრაქტიკის განხორციელების ობიექტები,

პრაქტიკის ხელმძღვანელებთან ჰქონდათ ინტერვიუ, მაგრამ არ გამოკვეთილა რაიმე ხარვეზი.

თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა კითხვით, რამე შენიშვნები თუ ჰქონდათ აკადემიასთან მიმართებით. ექსპერტმა უპასუხა, რომ როგორც უკვე აღნიშნეს, შენიშვნა ჰქონდათ მხოლოდ პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებით და აგრეთვე, შენიშვნა დაფიქსირდა ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით. სახელმძღვანელოები ძირითადად მხოლოდ ელექტრონულ მატარებლებზე იყო წარმოდგენილი, თუმცა მოდულებში მითითებული იყო როგორც ბეჭდური წიგნები და არა როგორც სახელმძღვანელოს ელექტრო ვერსიები. ეს დაადასტურა ექსპერტმა ნანა ბარნაბიშვილმა და განმარტა, რომ მოდულში უნდა ყოფილიყო მითითება სასწავლო მასალა იყო წიგნი ფურცლოვანი სახით თუ ელექტრონული სახით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდეგ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასალებში ეს უკვე შესაბამისად ასახულია და გასწორებულია, რასაც საბჭოც ადასტურებს.

ადამიანური რესურსის შემოწმების შედეგად ამ სტანდარტში ხარვეზი არ გამოვლენილა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა თუ ჰქონდათ შეკითხვები საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კვოტასთან დაკავშირებული საკითხით. ექსპერტის განმარტებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ფართის გათვალისწინებით, ბუღალტრის მეხუთე საფეხურის მოდულურ პროგრამაზე შესაძლებელია 10 სტუდენტის მიღება, სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის მოდულურ პროგრამაზე - 10 სტუდენტის, ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის მოდულურ პროგრამაზე - 8 სტუდენტის, მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის მოდულურ პროგრამაზე არსებობს 9 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, შეძლებდნენ თუ არა სწავლის პროცესის განხორციელებას ორ ცვლაში. რაც დაუდასტურა წარმომადგენელმა, რომ შეძლებდნენ. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ამ შემთხვევაში შესაბამისად სტუდენტთა რაოდენობები განისაზღვრება ორმაგი რაოდენობით, კერძოდ, ბუღალტრის მეხუთე საფეხურის მოდულურ პროგრამაზე - 20 სტუდენტი, სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის მოდულურ პროგრამაზე - 20 სტუდენტი, ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის მოდულურ პროგრამაზე - 16 სტუდენტი, მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის მოდულურ პროგრამაზე 18 სტუდენტი. ჯამურად ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 74 სტუდენტით.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა აღნიშნული პროგრამების განხორციელების მისამართი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა მოახსენა, რომ პროგრამები განხორციელდება ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N116.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 445448944) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 74-ით.

3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნატო ალავიძემ, ნანა შარაბიძემ, თეა ლილუაშვილმა და ეკატერინე გიგაშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იმყოფებოდნენ ავტორიზაციის ვიზიტით ჩარჩო დოკუმენტზე დაფუძნებული პროგრამების დამატების თაობაზე.

კოლეჯს სურდა შემდეგი ორი პროგრამის განხორციელება:

ბანკის მოლარე-ოპერატორი - მესამე საფეხური (მოდულური პროგრამა)

ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - მეხუთე საფეხური (მოდულური პროგრამა)

ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამის განხორციელება დაწესებულებას სურს ორ მისამართზე ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. N7; ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N15. ექსპერტმა განმარტა, რომ ქ. ქუთაისში არსებულ ფართზე უკვე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი ავტორიზაციის ფარგლებში, ხოლო ქ. მარნეულის ფართზე კოლეჯი პირველად ითხოვს პროგრამების დამატებას თვითშეფასების წლიური ანგარიშით. ავტორიზაციის ვიზიტი შესაბამისად განხორციელდა მითითებულ ორივე მისამართზე.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იყო სასწავლო გეგმები და დაწესებულებიდან გამოითხოვეს საავტორიზაციო ვიზიტამდე, თუმცა სასწავლო გეგმები დამტკიცებული არ იყო პროგრამებთან ერთად. სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მოდულები (მაგ: ქართული ენა A2 და ქართული ენა B1), რომლებიც ყველა დანარჩენი მოდულის წინაპირობაა, დაგეგმილი იყო მათ პარალელურ რეჟიმში. აღნიშნული ხარვეზი ვიზიტის დროს გამოსწორდა, აგრეთვე სასწავლო გეგმები დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით.

პროგრამის დამტკიცების ბრძანებაში ჩამოთვლილი იყო მხოლოდ მოდულები, რომლებიც არ მოიცავდა ინფორმაციას მათი განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, თუმცა მოდულების განმახორციელებელ პედაგოგთა ჩამონათვალი ცალკე იყო დამტკიცებული, განხორციელების მისამართების მიხედვით, ცალ-ცალკე. როგორც დაწესებულებაში აღნიშნეს, ტექნიკური ხარვეზის გამო პედაგოგთა ჩამონათვალში ერთ-ერთი მოდულის პედაგოგი მითითებული არ იყო, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით

დადგინდა, რომ ის პირადად არის მოდულის განმახორციელებელი და მისი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

შეფასების სისტემასთან დაკავშირებით ექსპერტმა შენიშნა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/ ნ ბრძანება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების'' შესახებ) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამებისთვის წერია, რომ შეფასების სისტემა განხილული იქნებოდა შესაბამის პროგრამაში ან მოდულში, რაც ასახულია ყველა წარმოდგენილ პროგრამასა და მოდულში.

ექსპერტმა დააფიქსირა, რომ პროგრამა რამდენჯერმე დამტკიცებულია დირექტორის მიერ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით და ექსპერტმა აქვე დაადასტურა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულიად შესაბამისობაშია პროგრამასთან. A, B და C გარემოს გათვალისწინებით, ექსპერტების გათვლით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ბანკის მოლარე-ოპერატორის პროგრამაზე შეიძლება განისაზღვროს 20 სტუდენტით ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამაზე - 23 და 17 სტუდენტით (შესაბამისად ქ. ქუთაისი და ქ. მარნეული).

ექსპერტმა აქვე დაამატა, რომ ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამის პრაქტიკის ობიექტი ფიქსირდებოდა მხოლოდ ერთი და ვიზიტის ფარგლებში დაემატა კიდევ ოთხი პრაქტიკის ობიექტი და ყველა მათგანი გადამოწმდა.

თავმჯდომარემ, აღნიშნა რომ კარგია ამ ახალი სპეციალობის გაჩენა, ბავშვებზე პროფესიულად მომზადებული კადრები იზრუნებენ, მითუფრო, რომ საქმე ეხება ბავშვებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკარის კვალიფიკაცია ვერ დასტურდებოდა რაიმე დოკუმენტით. დოკუმენტის არ არსებობა გამოწვეულია კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულების ლიკვიდაციით. დირექტორის განმარტებით, ვერბალური განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებულია ცნობად წინა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზეც, რაც დასტურდება საბჭოს სხდომის ოქმით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში საქმისწარმოება მიმდინარეობს წესების დაცვით. სასწავლო ლიტერატურა ფიქსირდება ადგილზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მარნეულის ფართის ავტორიზაციის საკითხით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს არის წარმომადგენლობა, ეს არ არის ფილიალი ანდა დამოუკიდებელი წარმონაქმნი. ამის შესახებ ცენტრი ინფორმირებული იყო, მათ 2016 წლის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნეს ამის შესახებ. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ენაზე აპირებენ სწავლის განხორციელებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა რომ ისინი სწავლის განხორციელებას აპირებენ ქართულ ენაზე. ამ ეტაპზე თავიანთი სახსრებით ახორციელებენ მოკლევადიან ტრენინგ კურსს ქართული ენის შესწავლის მიზნით. საბჭოს თავმჯდომარემ მოიწონა ინიციატივა, რადგან კარგი შესაძლებლობაა არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ქართული ენის შესწავლისათვის, თუმცა, აღნიშნა რომ ამის საშუალებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც იძლევა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაუდასტურა საბჭოს თავმჯდომარეს და ისიც

აღნიშნა, რომ მისთვის ფინანსურად უფრო მომგებიანია, რადგან ამ შემთხვევაში ტრენინგ კურსებს თვითონ აფინანსებს.

საბჭოს წევრი მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, შეძლებდნენ თუ არა სწავლის პროცესის განხორციელებას ორ ცვლაში, რადგან, სავარაუდოდ, სტუდენტები მიმდებარე სოფლებიდანაც იქნებიან. რაზეც დაუდასტურა წარმომადგენელმა, რომ შეძლებდნენ სწავლის პროცესის განხორციელებას ორ ცვლაში ამ ფაქტორის გათვალისწინებითაც. ამიტომ საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ცალკეული პროგრამის ფარგლებში ორმაგად განისაზღვრა და იკითხა ეს რაოდენობა, ხომ არ აჭარბებდა ავტორიზაციით მინიჭებულ კვოტას. დაწესებულებამ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ ცალკეულ პროგრამებზე სტუდენტთა კვოტების ჯამი არ ცდება დაწესებულებისათვის ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ზღვრულ რაოდენობას.

თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ბანკის მოლარე-ოპერატორის პროგრამაზე შეიძლება განისაზღვროს 40 სტუდენტით, ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამაზე - 46 და 34 სტუდენტით (შესაბამისად ქ. ქუთაისი და ქ. მარნეული).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტისათვის ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტს (ს/კ: 406129602) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	162	ქართული	46	ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. №7
						34	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №15
2	ბანკის მოლარე-ოპერატორი	მესამე	ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	98	ქართული	40	ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. №7

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:30 საათზე.

თავმჯდომარე:
ქეთევან ჯაყელი
მდივანი:
ირაკლი ბაიდაშვილი